ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 72

ქუთაისი „ 30 “ ნოემბერი 2016 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი შემდგომში „ შემსყიდველად “ წოდებული, დირექტორი თეიმურაზ ბაღდავაძის სახით, რომელიც მოქმედებს სამსახურის დებულების საფუძველზე ერთი მხრივ და

ფ/პ „ ტატიანა დოლიძე “ ს/კ 60002008612 მის: ქუთაისი, ბალანჩივაძის N 32

შემდგომში „ მიმწოდებელი “ „ ტატიანა დოლიძის “ სახით

მეორეს მხრივ დადეს ეს ხელშეკრულება და მიღწეული იქნა ურთიერთ შეთანხმება შემდეგზე:

1. ზოგადი პირობები

შემსყიდველმა აწარმოა ერთ პირთან მოლაპარაკება სასტუმროს მომსახურებაზე და მიიღო მიმწოდებლისაგან წინადადება მის მიწოდებაზე.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება საქონლის (სასტუმრო მომსახურება cpv(55100000)) შესაძენად გამარტივებული შესყიდვის წესით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

2.2. ტექნიკური და ხარისხობრივი მახასიათებლების შესაბამისობა საქართველოში არსებულ სტანდარტულ ნორმებთან;

2.3. შესასყიდი ობიექტის ერთეულის ფასები განსაზღვრულია მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფასების ცხრილით და ის წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

2.4. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულებაა 500 /ხუთასი/ ლარი;

2.5. შესასყიდი ობიექტის მიწოდების განხორციელება შემსყიდველის მოთხოვნიდან დაუყონებლივ, განსაკუთრებულ შემთხვევებში კი არაუგვიანეს 7 დღისა.

3. მხარეთა უფლება მოვალეობები

3.1 ,,მიმწოდებელი'' იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ,,შემსყიდველის'' მიერ დაკვეთილი საქონლის მიწოდება დაუყონებლივ სათანადო დოკუმენტების საფუძველზე;

3.2 ,,მიმწოდებელი'' ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და წუნდებული საქონლის შეცვლა;

3.3 ,,შემსყიდველი'' იღებს ვალდებულებას მიმწოდებელს საქონლის საფასური გადაუხადოს მიწოდებული საქონლის შესაბამისად , საქონლის მიწოდებიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა

3.4 შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს ტექნიკური კონტროლი და/ან შეამოწმოს საქონელი, რათა დარწმუნდეს მათ შესაბამისობაში ხელშეკრულების გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან;

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვების ობიექტი (ან მისი ნაწილი) ჩაითვლება მიღებულად ინსპექტირების ჩატარების სათანადო დოკუმენტების (სასაქონლო ზედნადები, ანგარიშ-ფაქტურა) გაფორმებისა და შემსყიდველზე საქონლის გადაცემის შემდეგ.

5. ანგარიშსწორება

ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორებით.

6. სხვა პირობა

6.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა დასაშვებია ქვეყანაში დაფიქსირებული ინფლაციის შესაბამისად;
6.2. მხარეები ღებულობენ ქონებრივ პასუხისმგებლობას არადამაკმაყოფილებლად შესრულებულ ვალდებულებებზე, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად გარდა ფორს-მაჟორული გარემოებებით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
6.3. მხარეთა შორის წარმოშობილი დავის ურთიერთმოლაპარაკებით გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში მხარეებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლო;
6.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან ერთი გადაეცემა მიმწოდებელს და მეორე შემსყიდველს. ორივე ეგზემპლარს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

ეთანხმებიან რა ყოველივე ზემოაღნიშნულს, მხარეები დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას

2016 წლის 30 ნოემბრიდან და მოქმედებს 2017 წლის 30 იანვრამდე.

მხარეთა რეკვიზიტები :

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ. ქ. ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის	ფ/პ „ ტატიანა დოლიძე “
თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი	ს/კ 60002008612
	მის: ქუთაისი, ბალანჩივაძის N 32
ქუთაისი , წმინდა ნინოს ქ. № 9 ს/კ 212700996	ს.ს. „ საქართველოს ბანკი“ მფო: BAGAGE22.
	ანგ/№ GE22BG 000 0000 882 946 600

დირექტორი:	მიმწოდებელი:
/ თ. ბაღდავაძე /	/ტ. დოლიძე/